„ტორპედო“ (მოსკოვი) – „დინამო“ (თბილისი) 1:0 (0:0)

მოსკოვი. „ტორპედოს“ სტადიონი. 22 მარტი.

“ტორპედო“: ხარინი, პოლიკაროვი, პრიგოდა, მუშტრუევი, პლოტნიკოვი (ნ. სავიჩევი, 66), შავეიკო, გრიშინი (შავლო, 55), ი. სავიჩევი, კობზევი, შირინბეკოვი, აგაშკოვი.

„დინამო“: გაბელია, კეტაშვილი, ჩივაძე, ჭედია, მალანია, რევიშვილი, ჟორდანია (ჩელებაძე, 72), სულაქველიძე, გოგრიჭიანი, ცაავა (კორღალიძე, 60), შენგელია.

მსაჯი ი. მილიაუსკასი (ალიტუსი).

გააფრთხილეს ჭედია და კეტაშვილი.

დუბლიორები - 0:0.

მატჩის დღეს მოსკოვში დილიდან გაავდრდა, ტემპერატურა მკვეთრად დაეცა, თუმცა „ტორპედოს“ სტადიონის სათამაშო მინდორი, სადაც მიწისქვეშა გათბობაა მოწყობილი, კარგ მდგომარეობაში იყო.

ტორპედოელებს შეტევის წინა ხაზზე, უშუალოდ მეტოქის კართან ორი ფორვარდი ჰყავდათ - კობზევი და ი. სავიჩევი, რომელთა ნეიტრალიზებას დინამოელთა მცველები წარმატებით ახორციელებდნენ. თბილისელთაგან კი წინა ხაზზე მხოლოდ შენგელია მოქმედებდა, რომელსაც მასპინძელთა მცველები ასევე პერსონალურად „მეურვეობდნენ“. ასეთ პირობებში შეტევაში უფრო აქტიური ფუნქციები ეკისრებოდათ ნახევარმცველებს. თამაში საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა, თუმცა პირველ ნახევარში მწვავე მომენტები ნაკლებად იყო. გამონაკლისი გახლდათ მუშტრუევის გარღვევა, მაგრამ მისი დარტყმა ძელს მოხვდა.

მეორე ტაიმში თბილისელებმა გააძლიერეს თამაში. გააქტიურდნენ რევიშვილი, შენგელია, სულაქველიძე. ტორპედოელთა კარის უშუალო სიახლოვეს სახიფათო პოზიციაში გავიდნენ კეტაშვილი, ჭედია. 72-ე წუთზე ჟორდანიას ნაცვლად მინდორზე ჩელებაძე გამოვიდა, რასაც კიდევ უნდა გაეძლიერებინა დაწოლა, მაგრამ მოხდა პირიქით: ტორპედოელებმა 73-ე წუთზე კუთხური მოაწოდეს, კობზევმა ბურთი ი. სავიჩევს გადასცა და მან მეკარე გაბელიას თავს ზემოთ გადაუგდო იგი - 1:0.

მატჩის დასასრულს დინამოელები უტევდნენ, ანგარიშის გათანაბრების კარგი შესაძლებლობაც ჰქონდათ, კერძოდ, შენგელიას, მაგრამ ეს მომენტი ვერ გამოიყენა. მოსკოველებმა შეინარჩუნეს მეტად საჭირო გამარჯვება.

ლელო 24.03.1987